*დანართი*

PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

| ექსპერტთა ჯგუფის წევრები |
| --- |
| თავმჯდომარე: |
| ვანო ოთხოზორია, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი |
| წევრი: |
| ტიტე ბოლქვაძე,  პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

*(თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

*(თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

2020 წლის 29 ივნისს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 11/06/2020 N458741 ბრძანების შესაბამისად, ა(ა)იპ-სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 11/06/2020 N458741 ბრძანების საფუძველზე ა(ა)იპ-სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის ,,სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა" საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 ე- პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის დაცვით.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული შიდა მარეგულირებელი აქტები და გადამოწმდა დაწესებულების მიერ მათი შესრულების დაცულობა, რისთვისაც განხორციელდა გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ინტერვიუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებული მოდულების განხორციელებაში ჩართულ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და რესურსები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

PDF Eraser Free

კოლეჯის ადმინისტრაციის ხელშეწყობით, ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ და საქმიან ვითარებაში.

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

-

## V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა:

-

## VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

- ხარვეზი არ გამოვლენილა

## VII. რეკომენდაციების შეჯამება

- რეკომენდაციების აუცილებლობა არ გამოვლენილა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

*(თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

# VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა |
| პროფესიული განათლების დონე | მეოთხე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0413 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | დამტკიცებულია<br>ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 თებერვლის N8 ბრძანებით<br>მოდიფიცირებულია<br>ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის N53 ბრძანებით |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი: ქ. თბილისი, თემქის დასახლება, XI მკ.რ. III კვ. ნაკვეთი 01/10 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------



*(თბილისი, 2020)*

*დანართი*

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30 (გაზრდილი კვოტით 50)<br>მოდულური<br>ქ. თბილისი, თემქის დასახლება, XI მ.კ.რ. III კვ. ნაკვეთი 01/10 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | 20 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 122 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 69 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 152 |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 99 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------

*(თბილისი, 2020)*

*დანართი*

PDF Eraser Free

## VIII. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

*(თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

## სტანდარტის შეფასება

**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

*(თბილისი, 2020)*

*დანართი*

PDF Eraser Free

1. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში შემუშავებულია - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი.

„ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტი" ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება ახალი მიღებისთვის ეხმიანება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის 2016-2023 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის N1 სტრატეგიულ მიზანს და წარმოადგენს 2020 წლის სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ კომპონენტს.

**პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა", ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების მიზანშეწონილება განპირობებულია ორი ფაქტორით:**

1. **საქართველოს სატრანსპორტო პოტენციალიდან გამომდინარე ლოგისტიკის სფეროს განვითარების მზარდი ტენდენციით;**
2. **საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებსაც არ აქვთ სრული ზოგადი განათლება, რომ მიეცეთ საშუალება შეისწავლონ სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის პროფესია, იყონ კონკურენტუნარიანები არსებულ შრომის ბაზარზე და დასაქმდნენ შეძენილი ცოდნისა და კვალიფიკაციის მიმართულებით.**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უკვე ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა". იმის გათვალისწინებით, რომ ერთის მხრივ კოლეჯს ჰყავს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლები, გააჩნია ყველა საჭირო მატერიალური რესურსი და უზრუნველყოფს პრაქტიკის სრულყოფილ გატარებას საქართველოს რკინიგზის სატვირთო გადაზიდვების

PDF Eraser Free

ფილიალს დაქვემდებარებულ საკვანძო და მახარისხებელ სადგურებში, დაწესებულებამ გადაწყვიტა 20 პროფესიული სტუდენტით გაზრდილი კვოტა გამოიყენოს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებისთვის და საბაზო განათლების მქონე პირებს შესთავაზოს ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამაც.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრული დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ წინაპირობებთან, კერძოდ დაშვების წინაპირობებად განსაზღვრულია:

- სრული ზოგადი განათლება - პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე;
- საბაზო განათლება - პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პირობები განისაზღვრება დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-თ, მუხლი 1. ამ წესის თანახმად პროგრამაზე აპლიკანტის მიერ (გარდა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში) სწავლების უფლების მოპოვება ხდება ტესტირების ჩაბარების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა მეტია იმ აპლიკანტთა რაოდენობაზე, ვინც აირჩია ეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, აპლიკანტი დაწესებულებაში ირიცხება შერჩევის საფუძველზე, რომელიც ტარდება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

PDF Eraser Free

დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესით (ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე დარეგისტრირებულ აპლიკანტთა კონკურსის წესით შერჩევის დებულება). აღნიშნული დებულებით რეგულირდება: კონკურსის ჩატარების პროცედურა, საკონკურსო კომისიის შექმნა, კომისიისგან გადაწყვეტილების მიღება.

**3.** კოლეჯი საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი

იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯს ჰყავს სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლები, გააჩნია ყველა საჭირო მატერიალური რესურსი და უზრუნველყოფს პრაქტიკის სრულყოფილ გატარებას (მემორანდუმი პრაქტიკის ობიექტთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ეტაპზევე ითვალისწინებდა 60 პროფესიული სტუდენტის მიღებას), **ექსპერტთა შეფასებით შესაძლებელია 20**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

PDF Eraser Free

**პროფესიული სტუდენტით გაზრდილი კვოტა გამოყენებულ იქნას ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებისთვის.**

**4.** დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა" ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსების სია, რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებულია მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან.

**5.** პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

**6.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა" დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის მიერ(ბრძანება N8; 2019 წლის 13 თებერვალი; ცვლილება 2020 წლის 25 მაისი N53 ბრძანება). შესაბამისი ფუნქცია გაწერილია კოლეჯის წესდებაში (მუხლი 5; 5.1.3) და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესში" (2018 წლის 23 მაისი N43 ბრძანება; ცვლილება კოლეჯის დირექტორის ბრძანება N59, მუხლი.4)

7. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის სახელწოდება "სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა" გამომდინარეობს ჩარჩო დოკუმენტის დასახელებისგან "ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტი" (მეოთხე საფეხურის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის" მიმართულება), შეესაბამება პროგრამის შინაარსს, წინასწარ დაგეგმილ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

*(თბილისი, 2020)*

*დანართი*

PDF Eraser Free

**8.** ა(ა)იპ სარკინოგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტი“(სარეგისტრაციო ნომერი 04113-პ) საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ინტეგრირებულ მოდულებს (60 კრედიტი), ზოგად მოდულებს (8 კრედიტი) და სპეციალიზაციის პროფესიულ/დარგობრივ მოდულებს (54 კრედიტი).

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა 2016-2023 წლებისთვის (კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის N39 ბრძანებით განხორციელებული ცვლილება);
2. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის 2020 წლის სამოქმედო გეგმა (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 იანვრის №3 ბრძანებით, ცვლილება განხორციელებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის №41 ბრძანებით)
3. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის N40 ბრძანებით „პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებაში განხორციელებული ცვლილება;
4. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის N42 ბრძანება, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვერფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ;
5. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 13 თებერვლის №8 ბრძანება (მოდიფიცირებულია 2020 წლის 25 მაისის N53 ბრძანებით) „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ დამტკიცების შესახებ“ ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

*(თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

6. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
7. „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის“ წესდება;
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველი ჩარჩო-დოკუმენტი „ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტი“ (მეოთხე საფეხურის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ მიმართულება) 04113-პ;
9. პროგრამის დამტკიცებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურის წესი (2018 წლის 23 მაისი N43 ბრძანება; ცვლილება კოლეჯის დირექტორის ბრძანება N59, მუხლი.4);
10. დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
11. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

PDF Eraser Free

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სულ დაწესებულებას აქვს 17 - A ტიპის სასწავლო გარემო, 10 - B ტიპის სასწავლო გარემო, 284 - ორ ადგილიანი მაგიდა სკამებით, 72 - ერთადგილიანი მაგიდა სკამებით, 159 - სამაგიდო (Desktop) კომპიუტერის კომპლექტი, 25 - პორტატული (laptop) კომპიუტერი, 15 - მრავალფუნქციური პრინტერი.

ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისათვის დაწესებულებას მოწყობილი აქვს AC სასწავლო გარემო, რომელიც ამ პროგრამის მიზნებისთვის არის გამოყოფილი და აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 16 ერთეული მაგიდა პროფესიული სტუდენტისათვის;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

PDF Eraser Free

- 1 ერთეული მაგიდა პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის
- 1 ერთეული დაფა
- 1 ერთეული პროექტორი
- ინტეგრირებული მოდულის - „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელბისათვის საჭირო აღჭურვილობა.

ინტეგრირებული მოდულის - „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ ლაბორატორია კიდევ ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - “**სარკინიგზო გადაზიდვები”** მიზნებისთვის გამოიყენება, თუმცა ოთახის გამტარუნარიანობა საშუალებას იძლევა ამ პროგრამის მიზებისთვისაც იყოს გამოყენებული.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებული მოდულის მატერიალური რესურსები დაწესებულების მიერ შეძენილ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან 2019 წლის 31 ოქტომბერს გაფორმებული №1309 ხელშეკრულების შესაბამისად.

პროგრამის განხორციელებისათვის ასევე გამოიყენება A და B სასწავლო გარემო და პრაქტიკის ობიექტი - სს „საქართველოს რკინიგზა“.

მოდულების განხორციელებისათვის დაწესებულებას მოწყობილი აქვს A სასწავლო გარემო, რომელიც ამ პროგრამის მიზნებისთვის არის გამოყოფილი და აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 16 ერთეული მაგიდა პროფესიული სტუდენტისათვის;
- 1 ერთეული მაგიდა პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის
- 1 ერთეული დაფა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

PDF Eraser Free

- 1 ერთეული პროექტორი

- 1 ერთეული პორტატული კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის

A /B სასწავლო გარემოსთვის გამოყოფილია 2 აუდიტორია, რომელიც ამ პროგრამის მიზნებისთვის არის გამოყოფილი და მთლიანობაში აღჭურვილია შემდეგი ინვენტარით:

- 32 კომპლექტი სამაგიდე კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისათვის

- 2 კომპლექტი სამაგიდე კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის

- 2 ერთეული დაფა

- 2 ერთეული პროექტორი

- 2 ერთეული პრინტერი/კომბაინი.

დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აუდიტორიების აღჭურვილობა იძლევა საშუალებას საჭიროების შემთხვევაში დამატებით მიმართული იყოს პროფესიული პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის N89 ბრძანებით „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ მუხლი.3-ის მიხედვით სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში, დღეში 12 საათიანი, კვირაში 60 საათიანი დატვირთვით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტზე სს „საქართველოს რკინიგზაში“. მათ წარმომადგენელთან გასაუბრებით, დგინდება პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობა და მზაობა მოთხოვნილი კვოტით გათვალისწინებული 50 პროფესიული სტუდენტის მიღებისა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულადაა უზრუნველყოფილი დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი (50) ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

**2.** ინტეგრირებული მოდულების განხორციელების მიზნით, კოლეჯმა შრომითი ხელშეკრულება გააფორმა 13 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. ზოგადი და დარგობრივი მოდულების განხორციელების მიზნით, კოლეჯს შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 10 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. მათ შორის დარგობრივი მოდულების განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა შეადგენს 7-ს (11 დარგობრივი მოდულისთვის).

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების (ხელშეკრულებაში მოცემულია ჩანაწერი, საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის თაობაზე) შინაარსის მიხედვით, მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

PDF Eraser Free

**3.** პროფესიული პედაგოგის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 5 აპრილის №27 ბრძანებით „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“.

კოლეჯის შინაგანაწესის მე-9 მუხლი არეგულირებს პერსონალის შერჩევის წესს, რის მიხედვითაც, პროფესიული განათლების მასწავლებელი სამსახურში მიიღება გასაუბრების ან კონკურსის გზით. კოლეჯის დირექტორის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებელთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება ან ინიშნება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების შერჩევა განხორციელდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და კოლეჯის ჩართულობით, სამეტაპიანი შერჩევის გზით, მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.

პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზეც, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა ინტეგრერიებული მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება კოლეჯის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მასწავლებლებმა გაიარეს საქართველოს განათლების,

PDF Eraser Free

მეცნიერებისა, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებული ტრენგები ინტეგრირებული მოდულების სწავლებისა და შეფასების სპეციფიკაციასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინტერვიურება განხორციელდა ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ 9 პირთან. პერსონალი იცნობს ინტეგრირებულ მოდულებს, აცნობიერებს მათ კავშირს სარკინიგზო გადაზიდვების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსთან და პროგრამის ხელმძღვანელთან კონსტრუქციული თანამშრომლობის მნიშვნელობას.

**4.** პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 5 აპრილის №27 ბრძანებით „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 5 მაისის №37 ბრძანებით. პირად საქმეში დევს მისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და შესაბამისობაშია კოლეჯის მიერ დაწესებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. შესაბამისად, მას აქვს შესაძლებლობა, სრულფასოვნად უხელმძღვანელოს პროგრამის განხორციელების პროცესს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

*(თბილისი, 2020)*

*დანართი*

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. იღებს მონაწილეობას პროგრამის შეფასების, განვითარების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში.

პროგრამის ხელმძღვანელს 2020 წლის 12 ივნისს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ განვითარების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილი აქვს ის აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას. სამოქმედო გეგმა შესაძლებლობას აძლევს კოლეჯის თანამშრომლებს და სტუდენტებს განსაზღვრონ საკუთარი განვითარების პერსპექტივები და ამ მიამრთულებით შეაფასონ მიღწეული პროგრესი. . პროგრამის განვითარების გეგმა საჯარო დოკუმენტია, რომლის საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ მხარეს ჩაერთოს სწავლა-სწავლების შეფასებისა და შემდგომი სრულყოფის პროცესში. ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ შეფასდება პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლები; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას შეფასდება პროფესიულ სტუდენტთა მიღწევები და კვალიფიკაციის მინიჭების პროცენტული მაჩვენებლი;. წელიწადში ერთხელ მოხდება პროფესიულს საგანმანათლებლო პროგრამაში მიღწევების და საჭიროებების შესრულების განხორციელების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობა: დამსაქმებლებისთვის, კურსდამთავრებულებისთვის, პროფესიული სტუდენტებისთვის, პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და უშუალოდ კოლეჯის ადმინისტრაციის წარმოამდგენლებისთვის; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების მიზნით წელიწადში ერთხელ მოეწყობა დამსაქმებელთა ფორუმი..

ექსპერტთა შეფასებით გამოვლინდა პროგრამის ხელმძღვანელის მნიშვნელოვანი და ყურადსაღები ფუნქცია, კერძოდ კოლეჯში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ანალიზდება და საჭიროების შემთხვევაში ხდება პროფესიულ სტუდენტთან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

*(თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

ინდივიდუალური გასაუბრება მისი მიღწევების გაუმჯობესებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით. პროგრამის ხელმძღვანელი ინდივიდუალურად, თითოეულ სტუდენტზე ადგენს დახასიათებას და წარუდგენს ინსტრუქტორს. აღნიშნულის მიზანია როგორც პროფესიული სტუდენტის განვითარება, ასევე დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მისი უსაფრთხოებისადმი ინდივიდუალური მიდგომის უზრუნველყოფა პრაქტიკის ობიექტზე.

5. საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში არსებული ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას, ივსება მკითხველის ბარათები, რითაც დასტურდება სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო რესურსის გამოყენების ფაქტი.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული 3 სამაგიდო კომპიუტერი მკითხველებისთვის და ერთი პორტატული კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, საოფისე კომბაინი (მრავალფუნქციური პრინტერი), ქაღალდების ასაკინძი და ლამინირების მოწყობილობა.

დაწესებულებას აქვს წვდომა სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს (matsne.gov.ge) ვებ გვერდზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------

*(თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

6. დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-7 მუხლი არეგულირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურას. დაწესებულებას არ ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, თუმცა კოლეჯის რეგულაციის მიხედვით და უფლებამოსილ პირთან გასაუბრებიდან გაირკვა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ხელშეკრულების საფუძველზე კოლეჯი მოიწვევს ასეთ სპეციალისტს, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების ჩართვას სწავლების პროცესში.

ვინაიდან, კოლეჯს არ ჰყოლია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები, შესაბამისად, ვერ იქნა წარმოდგენილ სსსმ პროფესიულ სტუდენტთათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო/კალენდარული გეგმა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

კოლეჯში ფუნქციონირებს ლიფტი, სასწავლო გარემო ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროების შესაბამისად.

7. პროგრამის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით, ვინაიდან პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება იღებს ვაუჩერულ და პროგრამულ დაფინანსებას, ამასთან კოლეჯის ფუნქციონირებისათვის ფინანსური უზრუნველყოფის ნაწილში ჩართულია, როგორც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ისე სს „საქართველოს რკინიგზა“ 50%-იანი წილობრივი მონაწილეობით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სს “საქართველოს რკინიგზის“, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს შორის 2016 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

*დანართი*

PDF Eraser Free

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ვაუჩერი და პროგრამული მიზნობრივი დაფინანსება. რენტაბელურობის ზღვრად მიჩნეულია 20 სტუდენტი. ბიუჯეტში რეალისტურადაა გაწერილი შემოსავლისა და ხარჯების სახეები.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. სს „საქართველოს რკინიგზასთან“ 2019 წლის 14 თებერვალს გაფორმებული #იუს/19*004 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი პროფესიული განათლებისა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიზნებისთვის თანამშრომლობის თაობაზე;
2. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 5 აპრილის №27 ბრძანება „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის საშტატო განრიგით განსაზღვრული თანამშრომლების, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დამტკიცების შესახებ“
3. პროფესიული განათლების მასწავლებლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
4. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
5. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
6. მატერიალური რესურსის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები;
7. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის №89 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

*(თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

8. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 19 მაისის №37 ბრძანება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა" ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ";
9. დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი";
10. „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის" შინაგანაწესი;
11. კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის N89 ბრძანება „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ";
12. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

*დანართი*

PDF Eraser Free

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. კოლეჯში შემუშავებულია - „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი“.

მუხლი 6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, მიხედვით - კოლეჯში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით; შიდა მექანიზმის სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით კოლეჯი:

შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემას; ადგენს პროგრამის შეფასებისათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას (პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარი, დამსაქმებელთა კითხვარი, კურსდამთავრებულთა კითხვარი). შეფასება ტარდება გამოკითხვის მეთოდით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, შეფასების შედეგების საფუძველზე, ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს

„მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების“ მიხედვით - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი პროგრამის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

*(თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

ხელმღვანელთან/პროფესიული განათლების მასწავლებელთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, ხარისხის შიდა მექანიზმების გამოყენებით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამების განვითარების კუთხით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით, კოლეჯის ძირითადი დამსაქმებლის, სს „საქართველოს რკინიგზის“ თანამშრომლებთან ერთად, რომლებიც ჩართულნი არიან კოლეჯის სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის პროცესში, წელიწადში ორჯერ კოლეჯში იმართება შეხვედრა, რათა მოხდეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისას დამდგარი საკითხების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების განხილვა. კოლეჯის მიერ გაწეული სამუშაოების ანგარიშის წარდგენა და პრობლემური საკითხების განხილვა ხდება დამფუძნებელი კომპანიისთვის, რომელიც წარმოადგენს ძირითად დამსაქმებელს. საჭიროებისას, დამსაქმებლის ან პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება პროგრამის გადახედვის ინიცირება, დგება ჯგუფი და ვორქშოპების ფარგლებში განიხილება გასაუმჯობესებელი საკითხები, დგება დასკვნა და შემდგომში მიეცემა მსვლელობა შესაბამისი რეგულაციების დაცვით.

**2.** კოლეჯში სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ ხდება პროგრამის განხორციელების შეფასება დაინტერესებულ მხარეებთან, პრობლემურ საკითხებზე დისკუსია და საჭიროების შემთხვევაში სს ,,საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობასთან ერთად მათი გადაწყვეტა. საანგარიშო პერიოდში დაწესებულებაში გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებისათვის შექმნილია ფოკუს ჯგუფები.

კოლეჯის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათების, ანგარიშების და სხვა დოკუმენტების მიხედვით ვლინდება, რომ შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირდა პროგრამის გაუმჯობესების მიმართულებები,

PDF Eraser Free

რაც გათვალისიწნებულ იქნა კოლეჯის დირექტორის მიერ და განხორციელდა სათანადო აქტივობები, როგორიცაა: დამატებითი აღჭურვილობის შესყიდვა, მოდულის სწავლების მეთოდების ცვლილება და სხვ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. (ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესი
2. კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება" ;
3. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები (პროგრამაში ცვლილებების შეტანის აქტი, შევსებული კითხვარების ანალიზის დოკუმენტები, მოხსენებითი ბარათები და ანგარიშები);
4. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

PDF Eraser Free

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების სასწავლო გეგმა შედგენილია თანმიმდევრულად, გეგმა გაწერილია 3 წელზე და ინტეგრირებული მოდულები ამ სამ წელზეა გადანაწილებული, დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, სასწავლო გეგმის აგებისას გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ხელახალი დადასტურების შესამლო გონივრული ვადა(2 კვირა).

**2.** დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, დაწესებულების წარმომადეგენელთან ინტერვიურებისას გაირკვა, რომ სს „საქართველოს რკინიგზაში“ დასაქმებული პროფესიულ სტუდენტთა მეცადინეობების განრიგის შემუშავებისას გაითვალისწინება მათ ხელმძღვანელებთან წინასწარი კონსულტაციების შედეგები და მეცადინეობის განრიგი მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე. საქართველოს რკინიგზაში დასაქმებული პირების მეცადინეობებზე დასწრების მონაცემები ეგზავნება საქართველოს რკინიგზის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

PDF Eraser Free

**3.** მოდულის სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება, B გარემოში ინსტალირებულია დარგთან დაკავშირებული პროგრამული უზრუნველყოფები.

ინტეგრირებული მოდულების პროფესიული განათლების მასწავლებელთა გადამზადება განხორციელდა, 2019 წლის 26 ოქტომბრიდან 9 ნოემბრის ჩათვლით სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, თემაზე - სასწავლო პროცესის დაგეგვისა და სწავლების ეფექტური სტრატეგიების შემუშავება. ასევე დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრეინინგი - ეფექტური კომუნიკაცია და ტრენერის პროფესიული თვისებები. ტრენინგი ორგანიზებულია მიუნხენისა და ზემო ბავარიის სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ.

ძირითადი პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირების დარგობრივი კომპეტენციები უზრუნველყოფს დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების პროფესიული სტუდენტებისადმი მიწოდების მხარდაჭერას.

**4.** ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების წესში, გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან. დასაქმებული პროფესიული სტუდენტების შემთხვევაში, დაწესებულება ადგენს სასწავლო ცხრილებს პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

PDF Eraser Free

**5.** პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით, ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. სწავლების შედეგის მიღწევა გარდა საწარმოო პრაქტიკის მოდულისა, დაგეგმილია დაწესებულების შენობაში. სს „საქართველოს რკინიგზასთან“ პრაქტიკული სწავლებისთვის 2019 წლის 2 თებერვალს გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი №იუს/19-004, პროფესიული განათლებისა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიზნებისთვის თანამშრომლობის თაობაზე, რომლის მიხედვითაც პრაქტიკის ობიექტი გამოთქვამს მზადყოფნას, მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ითანამშრომლოს 60 პროფესიულ სტუდენტთან (კოლეჯი გეგმავს 50 პროფესიული სტუდენტის მიღებას, მათ შორის 20 საგანმანათლებლო პროგრამაზე ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით). პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

**6.** ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „სატრანსპორტო გადაზიდვების ლოგისტიკა“ ფარგლებში ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისას სპეციფიკური უსაფრთხოების საჭიროება არ არის. ვიზიტის დროს დათვალიერებულ იქნა გარემო, რომელიც სრულად შეესაბამება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოს მოთხოვნებს .

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------

*(თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატრანსპორტო გადაზიდვების ლოგისტიკა“ სასწავლო გეგმა
2. სს „საქართველოს რკინიგზასთან“ პრაქტიკული სწავლებისთვის 2019 წლის 2 თებერვალს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი №იუს/19-004
3. მიმოწერა სს საქართველოს რკინიგზასთან პროფესიული სტუდენტების დასაქმების გრაფიკთან დაკავშირებით
4. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** კოლეჯს შემუშავებული აქვს ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური პროგრამის შეფასების სისტემა; დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

PDF Eraser Free

„პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესში" აღწერილია

- შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა(მუხლი 3.);
- შეფასების ინსტრუმენტის მიმართ განსაზღვრული მოთხოვნები და სტრუქტურა(მუხლი 4.);
- შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურა(მუხლი 5.) - შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი და შემუშავებულ პროექტს იხილავს სასწავლო პროცესის მენეჯერი, შესაბამის დარგის სპეციალისტთან ერთად, რომელიც არ მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში.
- შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და შენახვის ვადები(მუხლი 7.);
- შეფასების გაფორმება (მუხლი 8.);
- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის (მუხლი 9.)
- პროფესიული სტუდენტის შეფასება (მუხლი10.)
- პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/გასაჩივრების პროცედურა (მუხლი 11.)
- საკვალიფიკაციო გამოცდა (მუხლი 13.)

ექსპერტების მიერ შერჩევითად დათვალიერებულ იქნა მოცემული პროგრამის ფარგლებში განხორციელებული და დადასტურებული სწავლის შედეგების შეფასება, რომელიც განხორციელებულია რეგულაციის შესაბამისად. მიმდინარე წლის 20 მაისს შევიდა ცვლილება კოლეჯის დირექტორის ბრძანებაში „პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" (ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

PDF Eraser Free

N30 ბრძანება; ცვლილება 2020 წლის 20 მაისის ბრძანება N40), რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ინსტრუმენტის ფორმის ცვლილება. ახალი ფორმის გამოყენებით შეფასება ჯერ არ განხორციელებულა.

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯში სასწავლო პროცესის განხორციელებისას დაცულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მოთხოვნები.

**2.** ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანებით N42 „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ“, შექმნილია ვერფიკაციის ჯგუფი, რომელსაც ჰყავს ძირითადი და დამატებითი წევრები.

ძირითადი წევრებია: კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი (ჯგუფის თავმჯდომარე); კოლეჯის საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი.

დამატებითი წევრებს განსაზღვრავს ჯგუფის თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი არ შეიძლება იყოს ის პირი, რომელიც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შექმნის ან შეთანხმების პროცესში.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანებით N40, შეტანილია ცვლილებები 2018 წლის 1 თებერვლის N30 ბრძანებაში, სახელდობრ

მუხლი 6. ვერიფიკაციის პროცედურა -ში გაწერილია:

- ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის წესი;
- ვერიფიკაციის განხორციელების სქემა;
- ვერიფიკაციისას ჯგუფის დასკვნის ფორმა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

PDF Eraser Free

- ვერიფიკაციის შედეგებზე რეაგირების მექანიზმები

ინტერესთა კონფლიქტის და ვერფიკაციის ჯგუფში ისეთი პირების ჩართულობის გამოსარიცხად, ვინც მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტების შექმნის ან მათი ვალიდაციის პროცესში, მუხლი 5. შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცედურა, ფორმირდა ქვეპუნქტი 4, რომლის მიხედვითაც შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებულ პროექტებს იხილავს სასწავლო პროცესის მენეჯერი შესაბამის დარგის სპეციალისტთან ერთად, რომელიც არ მონაწილეობდა შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცესში.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილია ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო შეხვედრათა ოქმები, 2020 წლის 10 ივნისით დათარიღებული ოქმი 1_ის მიხედვით, განხორციელდა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულების ფარგლებში შექმნილი შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციის საკითხის განხილვა, ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილ იქნა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სქემა. ჯგუფის წევრებმა შეიმუშავეს ვერიფიკაციის დასკვნა, რომელშიც ასახულია გამოვლენილი ნაკლოვანებები და რეკომენდაციები.

**3.** დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის „პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი" (ცვლილება განხორციელებულია 2020 წლის 20 მაისის N40 ბრძანებით) რის მიხედვითაც, შეფასების მტკიცებულებები ინახება პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭებამდე სასწავლო პროცესის მენეჯერთან, პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება 3 წლის ვადით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------

PDF Eraser Free

**4.** „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მუხლი 9. მე-4 პუნქტის შესაბამისად - პროფესიული განათლების მასწავლებელი, მოდულის დასრულების შემდეგ არაუგვიანეს 6 სამუშაო დღის ვადაში სასწავლო პროცესის მენეჯერს/სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს წარუდგენს სამსახურეობრივ ბარათს დადგენილი ფორმით და თითოეული პროფესიული სტუდენტის მიღწევების დამადასტურებელ მტკიცებულებებსა და დახასიათებას.

სტუდენტთა დახასიათებების ანალიზი დაწესებულებას ეხმარება პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენაში, განვითარების დინამიკაზე დაკვირვებაში და საჭიროების შემთხვევაში მათ ხელშესაწყობად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანება N40 (ცვლილებები 2018 წლის 1 თებერვლის N30 ბრძანებაში);
2. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 მაისის ბრძანება N42 „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
3. ვერიფიკაციის ჯგუფის სამუშაო შეხვედრის ოქმი;
4. დირექტორის 2018 წლის 1 თებერვლის №30 ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის „პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი“ (ცვლილება განხორციელებულია 2020 წლის 20 მაისის N40 ბრძანებით)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---------------------------

PDF Eraser Free

5. კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 16 სექტემბრის №5 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“; (ცვლილება განხორციელებულია 2020 წლის 12 მარტის N15 ბრძანებით);
6. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

| | |
|---|---|
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------

*(თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

## X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

09/07/2020

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------------------